გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

ტფილისი, 16 მარიამობისთვე

დღევანდელს ახალ ამბებში მოხსენებულია, რომ უწმინდესს სინოდს დაუმზადებია პროგრამა საყოველთაო ექიმობის სწავლებისა სასულიერო სემინარიებში. ეს ამბავი მეტად საყურადღებო და სასიამოვნო ამბად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ფერსა და ხასიათს შეაცვლევინებს დღევანდელს სემინარიებს. დღემდე სემინარიებში არც ბუნების-მეტყველებას ასწავლიდნენ, არც ექიმობას; ამასთანავე მათემატიკის სწავლებაც ნაკლები იყო, რის გამოც სემინარია ვერ ამზადებდა ხეირიანს მოძღვრებსა და მასწავლებლებს. სემინარიელი, რომელიც მოძღვრად, ან მასწავლებლად მიდის, მოკლებულია საშუალებას ხალხს დაუახლოვდეს, იმისი ჭირი და ლხინი გაიგოს და გაჭირებაში დაეხმაროს, რადგანაც სემინარია ისეთს არაფერს აძლევს საგზლად, რაიცა ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა მაგალითად, არ იცის ექიმობა და წამლობა და ამ სახით მოკლებულია საშუალებას ხელი მოუმართოს ტანჯულთა და დავრდომილთა, რის გამოც ხალხი სოფლის მკურნალებსა და მკითხავებს აძარცვინებს თავს. სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება თვალ-წინ, როცა ექიმობისა და წამლობის სწავლებას შემოიღებენ სემინარიებში. ექიმობის მცოდნე კაცი, მღვდელი იქნება, თუ მასწავლებელი, თავისს მოძმესაც დაეხმარება, თითონაც ხელს გაიმართავს და საზოგადო სიყვარულსა და ნდობასაც დაიმსახურებს, რადგანაც ისეთი იარაღი ექნება ხელში, რომელიც მუდამ დღე გამოსაყენებელი და საჭიროა. ახალი პროგრამა სინოდისა არა სჯერდება მარტო ადამიანის ექიმობის სწავლებას, არამედ პირუტყვთა მკურნალობასაც ასწავლის, და ამ სახით მღვდელი, თუ მასწავლებელი ნამდვილი მეშველი იქნება ხალხისა.

მარტო ამ მხრით არ არის შესანიშნავი ეს ახალი ცვლილება. საბუნების-მეტყველო საგნებისა და ექიმობის სწავლება გაამდიდრებს და გააძლიერებს სემინარიელების ჭკუა-გონებას და სხოლასტიურს ხასიათს დღევანდელის სემინარიებისას სამუდამოდ ბოლო მოეღება.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, სამშაბათს, ტფილისის საბრანიაში ქართულის დრამატიულის დასის არტისტებმა წარმოდგენა გაჰმართეს და ითამაშეს: „დილა ქორწილს შემდეგ", ერთ მოქმედებიანი კომედია, «სუსტი მხარე», ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი, და „კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია", ერთ-მოქმედებიანივე ვოდევილი. წარმოდგენაზედ საკმაო ხალხი დაესწრო, თუმცა-კი ეს წარმოდგენა წინანდელებთან შედარებით სუსტი იყო. წარმოდგენის შემდეგ რამდენიმე ევროპიული საცეკვაო იცეკვეს და დუდუკსა და სალამურზედ ლეკური ითამაშეს.

*** აბასთუმანი: დღევანდლამდე აბასთუმანში დიდი სიბინძურე ჰსუფევდა. საკუთრივ როტონდის პირდაპირ ძველს შენობებში, სადაც ახალციხის სომხობა სცხოვრობს, სად მკვდარი კატები ეყარა, სად დამჩვალი ქათმები, სად დამპალი ხილი და სად ნარეცხი წყალი ეღვარა და სხვანი. წელს-კი ღმერთმა გადმოგვხედა და ამ უწმინდურებას მოვრჩით. მთავრობამ წელს ის შენობები მთლად დაარღვევინა და ამ ნაირად მოსპოეს ბუდე სიბინძურისა. მთავრობას აზრად აქვს იმ ძველ შენობის ადგილას ბაღი გააკეთოს და როტონდის ბაღს შეუერთოს. მაშინ, რასაკვირველია, აბასთუმანი უფრო კარგი სამყოფი ადგილი შეიქნება. წელს ხალხი აბასთუმანში წინანდელზე ბევრად ნაკლები გვესტუმრა, ასე გასინჯეთ, რომ იმათაც-კი, ვინც მუდამ წელს მოდიოდა, დაგვივიწყეს და არ მოვიდნენ ჩვენს წყლებზე. ექიმობა-კი ჩვეულებრივზე მეტი გვესტუმრა.

*** სოფ. ქისტაური: ამას წინად ივერიაში მოხსენებული იყო, თუ რა გაჭირება გამოიარა ჩვენმა საქონელმა თან სიცივისა და თან სიმშილისაგან. ეხლა კიდევ უფრო უარესი მოელის ჩვენს საქონელს, რომელმაც ეგოდენის ვაებით გაატარა ზამთრის ყინვა და შიმშილი. ამას გარდა, საქონლის ჭირი გაჩნდა, საქონელს აწყებინებს ზრიალს, შეუხუთავს ყელს და შემდეგ ჰკლავს.

*** იქიდამვე: სომეხთ-გრიგორიანები ახალს ეკკლესიას იშენებენ და, იმედია, მომავალის წლისათვის დაასრულებენ.

*** ადბულადი: ამ დღეებში ერთმა რუსის გლეხმა თავი მოიკლა თოფით. აი საქმე როგორ იყო: ამ გლეხს ცოლი სხვაგან ჰყავდა ჯამაგირში. ქალს რომ ვადა შეუსრულდა, ქმართან დაბრუნდა. იმავე ღამეს შელაპარაკდნენ ცოლ-ქმარნი. ამასობაში ქმარმა ხელი წაავლო თოფს და კარში გავარდა. ცოლიც დაედევნა, მაგრამ კარი გარედგან დაკეტილი დახვდა და სანამ ცოლი ფანჯრიდგან გადახტებოდა, ქმარმა თოფი დაიცა გულში. საბრალო კაცი ამ სიცხე-პაპანაქებაში სამი დღე ეგდო გარეთ.

*** იქიდამვე: ჩვენკენ ავაზაკობა ძლიან ვახშირდა. 9-ს ამ თთვისას ერთი თათრის ჩოდარი მიდიოდა მთაში საქონლის სასყიდლად დამოშორდა თუ არა ხუთს ვერსზე ჩვენს დაბას, დახვდნენ ყაჩაღები და თოფით დასჭრეს მარჯვენა კუნთში. თათარს წაართვეს ოც-და-ათი თუმანი ფული. ამას გარდა გაძარცვეს ორი ოსი, გუჯარეთიდგან მომავალი, და წაართვეს ხუთი თუმანი. 12 ს ამ თთვისას გაძარცვეს ბერძნები, რომელნიც სამშვილდეში მიდიოდნენ სალოცავად. ავაზაკები აგრეთვე წინ-წყაროსთან ხვდებოდნენ გამვლელ - გამომვლელს და სძარცვავდნენ ისეთი შიში დასცეს მთელს ადბულადს, რომ სამუშაოდ ვერავინ გამოსულა. ამ ყოფას სჩადიან სამი თათარი და ერთი ოსი, რომელთა შესაპყრობლადაც მთავრობა კაცების გაგზავნას აპირობს.

*** სოფ. სხვავა (ქვემო რაჭა): ქართლიდგან მოყვანილს საქონელს ამ ერთი კვირის წინად აღმოაჩნდა ჭირი, რომელმაც ბევრი სხვა საქონელი იმსხვერპლა. ადგილობრივმა მამასახლისმა აქაურ მკვიდრთა საქონელი მთაში გაახიზვნინა, სადაც, ამბობენ, ჭირს ადვილად იხდის საქონელიო. ხალხი ძლიერ შეწუხებულ-დაღონებულია იმის გამო, რომ საქონლის ჭირი ამ ჟამად დიდს ზარალს აძლევს. საწყალი სოფლელი სამუდამოდ ეთხოვება მამასისხლად და ვალებით ნაყიდს ქართლურს ხარებს. უხარობით ნაოფლ-ნაღვაწი ეცლება ხელიდგან. გარდა ამ სოფლისა, ჭირი საქონლისა სოფ. ზემო-კრიხსაც მძვინვარებს. გარდა საქონლის ჭირისა, ხალხის შემაწუხებელი იყო და არის ეხლაც წითელა. წელს წითელა მთელს ქვემო რაჭას მოედვა. კიდევ კარგი, რომ ყმაწვილები ადვილად იხდიან ამ სენს.

*** სოფ. ბუგეული (ქვემო რაჭა): ეს სოფ ცნობილია თავისის გოგირდის აბანოებით. ხალხი ჩვენის მაზრიდგან, ნამეტურ ქალები, ბევრი იკრიბება აქ საბანაოდ. ამბობენ, ეს გოგირდის აბანო უხდება ქარებით ავადმყოფსაო. იმ ადგილას, სადაც ამოდის გოგირდის წყალი (ცივია), პატრონს ერთი პატარა ქოხი აუშენებია ერთის აუზით და ისიც ისეთი ფარღალალა, რომ იქ ბანაობა უფრო საშიშოა ვაციებისათვის, ვიდრე გარედ, ცას ქვეშ. თითო ბანაობა 30 კ. ღირს. ბუგეულს გარდა ქვემო რაჭაში შემდეგ სოფლებშიაც არის გოგირდის წყლები, სრულიად უყურადღებოდ მიტოვებული: ქვემო-კრიხს, ბაჯს, აბანოეთს და სხვ. სოფ. ბუგეული სძევს რიონის მარცხენა ნაპირას და გასცქერის მთელს საყიფიანოს, სადმელს და სხვა ქვემო-რაჭის სოფლებს.

ამ სოფელში არის მთელის ქვემო-რაჭისათვის ერთად-ერთი ხიდი რიონზე. ეს ხიდი გაფუჭებულია, მხოლოდ იმისი მაგარი ქვითკირის ბურჯები-კი სდგას ურყევლად რიონში. ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორს გაჭირებაშია ხალხი აქ უხიდობისაგან. რიონში გასასვლელ-გამოსასვლელი ცხენები და სხვა ოთხ ფეხი ბაწრებით გაჰყავთ-გამოჰყავთ. თითო სულის საქონლის გაყვანა ჰღირს 20 კაპ. მას აქეთ, რაც ხიდი გაფუჭდა, ეს ფული რომ სოფლელებს ევროვებინათ ხიდისათვის, აქამდე გვარიანი ჯამი შესდგებოდა და იმითი ხიდი კიდეც გაკეთდებოდა. ბუგეულში ყოველ - წლივ ბაზრობა იმართება ენკენისთვეში და განა ეს უხიდობა არ ავნებს ვაჭრობას, ალებ-მიცემობას? მცხოვრებნი ასე ამბობენ: „ბატონო, ჩვენ თითონ გავიკეთებდით ხიდს საკუთარის ხარჯით, მაგრამ გვეუბნებიან, რადგან „სმეტაში" შეუტანიათ ეს ხიდი და უთქვენოდ გააკეთებენო". „სმეტაში" იქნება მართლა შეტანილია ხიდი, მაგრამ ხალხს რომ იმისი ხარჯი არ ასცილდება, ცხეც აშკარაა.

*** სოფ. ხოტევი (ქვემო რაჭა): ამ სოფელში შუა ადგილას სდგას ერთი დიდი ძველი ციხე, ნახევრად დანგრეული. წინად ამ ციხეში ძველი წარწერებიანი ქვებიც ყოფილა; ეხლა-კი არა იპოვება-რა. არც გასაკვირველია, რადგან რამდენიმე წელიწადია მეღგრად მისდგომია მას ერთი აქაური მცხოვრები, რაჭის „წურბელად" წოდებული, და აცლის ქვებს, უნგრევს ძირს და მიაქვს ორ-სამ სართულიანის სახლის ასაგებად. ამ ციხის შესახებ წინადაც იყო დაბეჭდილი, როგორც გვახსოვს, გაზ. „დროებაში" შენიშვნა. ზემოდ მოხსენებულს მკვიდრს მით უფრო უნდა მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება, რომ ხალხი უჩივის. ვინ იცის, იქნება იმის ძველის-ძველი თავს იფარავდა ხოლმე ამ ციხეში და ის-კი იმის განადგურებას შესდგომია.

*** სოფელ ნიკორწმიდა: ამ სოფელში, როგორც მოგეხსენებათ, არის 900 წლის ტაძარი წმ ნიკოლოზის სახელისა. წარსულის თთვის მიწურულში დაასრულეს კიდეც შეკეთება ამ ეკკლესიისა. ამ შესანიშნავის ძველის ნაშთის შეკეთება ნარდად ჰქონდა აღებული ამავე სოფლის მკვიდრს გეგეშიძეს 4,250 მან. 50 კაპ. პირობისამებრ, ამ კაცს ეს ეკკლესია უნდა დაეხურა, ნაცვლად ძველი ქვსტის სახურავისა, თუთიათი (ЦИНКЪ). ამას გარდა კედლების დამსხვრეული, გაფუჭებული და ჩამოცვივნული ქვები უნდა გამოეცვალა. ეს ყოველისფერი გააკეთა გეგეშიძემ და იმისმა მოყვანილმა ხელოსნებმა ბერეკაშვილებმა. ამ უკანასკნელთა შეაკეთეს ქვის ნაწილი საყდრისა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეს ბერეკაშვილები (ოკრიბლები, სოფ კურსებიდგან), ცნობილნი არიან მთელს იმერეთ-რაჭაში ეკკლესიების შენებით, ამათ ააგეს რაჭაში სხვაეის ლამაზ გუმბათიანი ეკკლესია; ესენივე აპირობენ სოფ. ხოტევის საყდრის გუმბათის გაკეთებას და ამ ზემოხსენებულ ხელოსანთა ძრიელ მოსწონთ ნიკორწმიდის ტაძრის ძველი ხელოვნება; თითონვე ამბობენ, რომ ძველი ხუროთმოძღვრება ვიცითო. 8-ს ამ თთვისას ტფილისის რკინის გზით ნიკორწმინდის ეკკლესიის სანახავად მოვიდნენ ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე და გამოჩენილი რუსის პროფესორი ბ-ნი კონდაკოვი.

*** ქ. პიატიგორსკი: წელს აქაურს წყლებს მაინცა და მაინც საქებური „კურსი" არ დასდგომია, როგორც თვით პიატიგორსკში, აგრეთვე კისლოვოდსკში, ესენტუკში და ჟელეზნოვოდსკში. ამ ამბავს ყველანი სჩივიან, სახლის პატრონებიცა და ვაჭრებიც. ყველა ამას გაიძახის: „რაც ვვინახავს ველარ ვხედავთო". შედარებით შარშანდელ და შარშანწინდელ წლებთან ორი ათას სულამდე ნაკლები ხალხი გვეწვია. ამის მიზეზი, სხვათა შორის, პარიჟის მსოფლიო გამოფენაა.

ჩვენკენ ეს მესამე თთვეა, რაც საქონლის ჭირი გაჩნდა და დღეში ასსა და მეტს სულ საქონელს მუსრს ადენს. ამ საშინელის სენის საწინააღმდეგოდ თუმცა კარგა ხანია მკურნალები გამოგვიწერეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო". სწორედ ასე მოგვივიდა და მოგვდის კიდეც: სანამ ექიმები მოგვივიდნენ, მრავალი საქონელი გასწყდა. ამის გამო ძალიან გაძვირდა ხორაგეულობა და სხვა სანოვაგეც.

*** გორი: ჯარის კაცების გაყვანის წინად აქ უკანონო საქციელი და მატყუარობა თანდათან თავს იჩენს. ამისათვის სასურველია სამხედრო კრებულის წევრებმა თვალ-ყური ადევნონ საქმესა და ერთმანეთს მომატებულის სიფხიზლით დაეხმარნენ.

*** „ქუთაისის უწყებაში" ვკითხულობთ გუბერნატორის განკარგულებას, რომ, რადგანაც სამსახურიდამ გამოსული ზოგიერთი მოხელე ფორმის ტანისამოსს არ იხდის და ხალხს ატყუებს ქრთამის გამორთმევით და სხვა ბოროტ-მოქმედებით, მოვაჭრეებმა, როცა მათთან აქციზის მოხელე მიდის, მოსთხოვონ „ღია ფურცელი" სამსახურისა.

*** მას აქეთ, რაც ჩვენში სამხედრო ბეგარა შემოიღეს, ყველა მხრიდამ გვესმის საჩივარი, რომ სოფლებსა და მაზრის ქალაქებში ბევრი იმისთანა ოსტატი გამოჩნდა, რომლებიც ხალხს ატყუებენ, შვილს ჯარის სამსახურისაგან გაგინთავისუფლებთო, თუ გასამრჯელოს მოგვცემთო. საქმე იქამდე მივიდა რომ, როგორც ვკითხულობთ „ქუთაისის უწყებებში", ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაისის გუბერნატორს ივლისის 21 ცირკულიარი მიუწერია მაზრისა და ოლქის უფროსებთან და პოლიცმეისტრებთან: ხალხს გამოუცხადეთ, რომ არავის შუამავლობით ჯარის სამსახურიდგან განთავისუფლება არ შეიძლება, თუ არ იმ შემთხვევაში, რომელიც კანონით დადგენილიაო.

*** გაზეთები გვატყობინებენ, რომ უუწმინდესს სინოდს დაუმზადებია პროგრამა საყოველთაო ექიმობის სწავლებისა სასულიერო სემინარიებში. ამ პროგრამით ყმაწვილებს უნდა ასწავლონ ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა და სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გამოცნობა და წამლობა. აგრეთვე უნდა ასწავლონ პირუტყვთა მკურნალობა და სხვანი.

*** ტფილისში მეხუთე განყოფილებაში და აგრეთვე თათრის მეიდანთან სრულებით ყურადღებას არავინ აქცევს მეფურნეების გამომცხვარ პურს და ხილეულობის დუქნებსა. საჭიროა რომ ამ ნაწილის ქალაქის ექიმმა მომეტებული ყურადღება მიაქციოს და მკვახე ხილი და საძაგელი ფურნის პური აკრძალოს.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქვემო რაჭა, 10 მარიამობისთვე. ადგილის სივრცით ჩვენი მაზრა ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრას სჯობნის თითოეულად. მკვიდრთა რიცხვით-კი ნაკლებია სხვა მაზრებთან შედარებით და თვით ამ მაზრისავე ადგილის სივრცეს-სიდიდესთან. რათა მკითხველისთვის ცხადი იყოს, ციფირებით გავასურათოთ ზემო ნათქვამი. ავიღოთ, მაგალითად, სენაკის მაზრა და რაჭა. დაახლოვებით რაჭა შეიცავს 956 ათასს დღიურს, სენაკის მაზრა-კი—307 ათასს დღიურს, მცხოვრებთა რიცხვი რაჭის მაზრაშ 70 ათასამდეა, სენაკისაში—106 ათასი სული, აქიდამ შესაძლოა მკითხველმა დაასკვნას, რომ რაჭველებს ადგილის სივიწროვე არ უნდა აწუხებდეთ. საქმით-კი ეს ასე არ არის. აქ ეხლა თითქმის ბალღმაც-კი იცის და ჰგრძნობს, რომ ადგილ-მამულის სიცოტავით ძლიერ შეწუხებულია ჩვენი ხალხი. მართალია, რაჭა ზომით დიდია, მაგრამ ეს რა სანუგეშოა ჩვენის ქვეყნისათვის! თავდა პირველად დედა-მიწა თავის ეხლანდელს ფორმას რომ ჰღებულობდა, მაშინ, მგონი, იმისი ღრმა,—გულიდგან თუ რამე ამოხეთქილა, აქ უჩენია თავი: კლდე-ღრეთი, და მთა-გორაკებით, დაფარულია სრულიად ეს პატარა კუთხე საქართველოსი. ვაკე, სწორე ადგილი თუ შორის სათიბ ადგილს არ ჩავაგდებ ანგარიშში, ისე იშვიათია რაჭაში, როგორც ოაზისი უდაბნოში. საზრდოს აქაური ნიადაგი აძლევს რაჭველებს, ჯილდოდ განუსაზღვრელის შრომა-ტანჯვისა, იმდენს, რამდენიც ნახევარს წელიწადს ჰყოფნით. ჩვენ ვამბობთ ამას უმეტესობაზე და არა იმ მცირე ნაწილზე, რომელსაც შესაძლოა, გარდა პურ-ღვინისა, სხვაც ბევრი რამ ჰქონდეს. დანარჩენს ნახევარს წელიწადს რომ შიმშილმა არ შეაწუხოთ, რაჭველები მიდიან კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეს და დღიურ მუშაობით აგროვებენ ფულს. ერთის სიტყვით, რაჭველი ოჯახის კაციც არის, მისდევს მეურნეობას, ხვნა-თესვას და გარეთაც მიდის, სადაც იგი ათას გვარ საქმეს ჰკიდებს ხელს. გარეთ-გასული კაცი არაფერ საშუალებას არა ჰზოგავს, ოღონდ-კი შინ ცარიელ ტარიელი არ მივიდეს, მოვალეებს გაუსწორდეს, არ მოაშივნოს თავის ცოლ-შვილს და ბოლოს დააკმაყოფილოს სოფლის მწერალი, მღვდელი, მასწავლებელი, სახელმწიფო გადასახადი, მტერი და მოყვარე. მაგარი ისაა, რომ ეს გარეთ ყოფნა იაფად არ უჯდებათ რაჭველებს. მუდამ წელს გარეთ წოწიალი, თრევა და ცუდს გარემოებაში მუშაობა დიდს ზარალს აძლევს, თუ მხედველობაში მივიღებთ რაჭველის ტან-მთელობას, ჯანის-სიმთელეს და ზნეობითს სიწმინდეს. ვინ მოსთვლის რამდენი ჩვენებური კაცი გარეთ თრევის გამო ესალმება, პოეტის თქმისა არ იყოს, მაზარაში გახვეული წუთი-სოფელს, ან სამუდამოდ სნეულდება. წამლობა ხომ აქაურის კაცისათვის მიუწვდენელი რამეა, როგორც შინ, ისე გარეთ. ეს ბუნებით ჯან-საღი ხალხი თან-და-თან სუსტდება, უძლურდება და ვარდება სილატაკეში. ნამეტურ საცოდავი სანახავი არიან რჭველები, როდესაც შინ ბრუნდებიან ქვემო-იმერეთიდგან, სამეგრელო გურიიდგან და აფხაზეთიდგან, საიდგანაც ციებ-ცხელებითა და სხვა-და-სხვა სნეულებით შეპყრობილნი მოდიან. ასე და ამ გვარად რაჭველების შინ და გარეთ ტრიალს საზოგადოდ სიკეთესთან ბევრი ავიც მოზდევს.

იქნება ვინმემ იფიქროს, ვითომ შინაობაში შრომას შეუძლიან რაჭველები ფეხზე დააყენოსო. საუბედუროდ, ამ ბოლო ხანებში ოჯახში მუშაობისაგანაც მოტყუებულნი არიან. „ჩიტი ბდღვნად არა ღირდა, დევნა მეტი იყოვო“, ნამდვილად რაჭველებს უნდა ეთქვათ პირველად ეს ანდაზა. რაჭველი გადამეტებით შრომობს, დღე-და-ღამ ოფლის ღვრაშია და თავის ნაჭირნახულევ, ნაოფლ-ნაღვაწისაგან მაინც არაფერი რჩება. რატომ? იმიტომ (მოვიხსენებ აქ იმ შორეულს მიზეზს, რომელიც მუდამ ენაზე გვაკერია), რომ მოკლებულნი ვართ სრულებით განათლებას. ამის გამოა, რომ, ბუნება თუ კაცი, ყველა ჩვენ გვჩაგრავს და გვაცლის ხელიდგან ნაშრომს. ჩვენის ხალხის თავი და თავი მტერი არის: სეტყვა, გვალვა, ნიაღვარი, ვაზის სნეულება, საქონლის ჭირი, ცრუმორწმუნეობანი, უზომო ხარჯი, უსუფთაობა და სხვ. ყველა ეს მუსრს ავლებს ხალხს და უმწარებს ცხოვრებას. ამის შესახებ ერთმა რაჭველმა იოხუნჯა: „ეიფელის კოშკი რომ შუა რაჭაში დაედგათ, შენი მტერია, დაილუპებოდა სრულებით ჩვენი ხალხიო: ელექტრონით განათებულს რაჭაში მოსვენებას აღარავინ მოიგონებდაო“.

„ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, თუ წარსულს გაზაფხულს რა დიდი ზარალი მისცა რაჭველებს სეტყვა-ნიაღვარმა. მომავალში კიდევ მეტს ზარალს უნდა ელოდეს ნიაღვრებისაგან. საყანეები აქ დაქანებულს, ხრიოკ ადგილებზეა; ათი-თხუთმეტის წლის წინად ზემო ნაწილი მაღლობებისა ტყით იყო დაფარული და ნიაღვარიც იშვიათი იყო. ეხლა იმ მთა-გორებზე დიდის სიჩქარით ჰჩეხენ ტყეს და საყანეებს აკეთებენ მცხოვრებლები. ჯერ სჭირს პირნახულისათვის წვიმის მოსვლა და თუ როგორმე ეღირსა ხალხი და იმისი ყანები წვიმას, ნიაღვარიც უეცრად მოვარდება, რადგან იმ მაღლობებზე ტყე არ უხვდება, რომ შეაჩეროს წყალი. რომ უტყეობას სეტყვა-გვალვაც მოსდევს, აშკარაა იმისთვის, ვინც დაჰკვირვებია რაჭის ყოფამდგომარებას წინად და ეხლა.

წელს რაჭაში პური ძლიერ ნაკლებად მოვიდა ნიაღვრებისა და უდროვო-დროს წვიმიანობის გამო. ვენახებისაგან კიდევ უფრო დაღონებული და დაჩაგრული შეიქმნენ რაჭველები. მემამულე, რომელსაც ორასი კასრი (კასრი 27 ვედროს ბოთლია) ღვინო მოსდიოდა, წელს ამბობს წელმოწყვეტილი,—ათი კასრი მომივაო. საითაც-კი მოგიხდება წასვლა-წამოსვლა, ყველგან ვენახს ემდურის ხალხი და ერთმანეთს სთხოვენ: „ვენახებში ნუ ქი, ნუ გაივლი: გეწყინება“. ადგილ-ადგილ ვენახები იმ სახედ არის, როგორც რთველის შემდეგ. ვაზის ავადმყოფობა ამ გვარადაა გარეგნობით: ზოგან ვაზებს ფოთლები სრულებით დაუხმა და უმეტესობას-კი ფოთლების ქვედა-პირზე მოწითლომოყვითლო, «ნაცარ»-მიყრილი, ფორაჯები გაუჩნდა. ორ-გვარი ყურძენია ქვემო-რაჭის ორს-სამ სოფელში—„ფერუანი“ და „ხოტეური“ რომელთაც ვერ ავნო ავადმყოფობამ და კარგადაც ასხიათ. ამ გვარი ვაზები სხვათა შორის ურევია ვენახებში და ამათი კარგი თუ ცუდი მოსავალი რა სახსენებელია. ქუთაისსაც მოაკლდება წელს მშვენიერი აქაური ეგრედ-წოდებული „ყიფიანური“ ღვინო! ერთი დიდი ნუგეში რაჭველებისა სიმინდია, რომლისასაც კარგს მოსავალს ელოდებიან.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ უბედურებისაგან თავის ხსნა არ არის ძნელი, თუ ხალხს სწავლა-განათლება მიეცემა. თუ ეს იარაღი მიეცემა ხალხს, მაშინ ადგილის სივიწროვესა და მის უნაყოფობას არ შეუშინდება. რუსეთის სახელმწიფოშივეა ისეთი მხარე, რომლისთვისაც ბუნებას ცარიელი პიტალო კლდისა და ქვიშნარის მეტი არაფერი გამოუმეტებია-რა. ასეთი ქვეყანა ფინლიანდია გახლავთ. ამ ქვეყნის მკვიდრთა სამი თვის საველიდგან მოაქვთ მიწა და აყრიან თავიანთ ტიტველა კლდე-ადგილებს, რომ გაანაყოფიერონ. მერე ნახეთ იქაური მოსავალი და ჩვენებური! ერთმანეთს ისე ჰშორავენ, როგორც ცა და დედამიწა.

თუ გაჭირება გვარგუნა ბუნებამ, „გაქცევაც“ უნდა ვისწავლოთ, მეტი საშუალება არ არის. ამას-კი სწავლა-განათლება გვასწავლის. „ღონე“, ღვთის წყალობით, არ გვაკლია აქაურებს, მხოლოდ ის არა გვაქვს, რაც უფრო ძვირფასია ჩვენს მდგომარეობაში, ე. ი. ხერხი და სწავლა არ არის.

კუს ნაბიჯით ჩვენს მივარდნილს რაჭაშიაც ჩნდება განათლების ნიშნები. რკინის გზა ხედ კარზე მოაყენებს რაჭას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ნაქერალაზე ძლიერ ცუდი გზაა ჯერ-ჯერობით. ცხენით გადასვლა ამ მთისა წვიმის დროს შეუძლებელია. ქუთაისიდგან ონამდე ლეჩხუმით ტელეგრაფიც იმართება და ბოძები მოტანილია, სადაც საჭიროა. მუშაობას დაიწყებენ ეს-ეს არის. კაცის კვლა, ერთმანეთის ჩხა-წეწვა შარ-შანდელზე ნაკლებია წელს, როგორც გაგვიგია. შარშან ხუთი მკვლელობა გვახსოვს, წელს-კი, თუ არა ვსცდები, ორი იყო.

ს—ი

◆◆

## პასუხად

„Я преполагаю, что весь этотъ умственный маскарадъ, вся эта путаница понятій и представленій происходитъ отъ того, что мы вступаемъ, такъ сказать, въ эпоху конфуза“.

Щедринъ

მკითხველო, თუ ადევნებდი თვალს ჩვენს მწერლობას ამ ათის წლის განმავლობაში, გეცოდინება, რომ ყოველ წლივ ჩვენი პუბლიცისტები საყვედურს უძლვნიან ხოლმე ქართველ ახალგაზდობას.

იმ ნაქებ წრიდამ, რომელსაც მესამოცე წლების ახალგაზდობის სახელი დაუმკვიდრებია, იმ წრიდამ მაინც გამოჩენილიყო ვინმე, მოეგონებინა თავისი ძველი დრო და მედგრად, მოურიდებლად მიეცა მწარე, მაგრამ მართალი, საფუძვლიანი პასუხი ამ საინტერესო საგანზედ. ამისთანა ღვთის მოყვარე მწერალი ჩვენს მწერლობაში არ გამოსულა.

თუ ვინმე მათგანმა ხელი წაავლო ამ საგანს, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ისიც იმ განთქმულს დასს ეკუთვნის, რომ იმასაც აქვს მონაწილეობა ამ მესამოცე წლების შექმნაში. ამათ იმედი დაუკარგავთ ახალგაზდობაზე და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, როგორც ჰგავს, „mania grandiosa“-თი გაბრუებულნი, გაიძახიან: «ახ დრონნი, დრონნი, ნაქებნი მარად, წარვიდნენ განქრენ, სიზმარებრ ჩქარად!»

რასაკვირველია, ყოველისფერში ბევრი ჯვითნი ამ საგნის გარჩევამდისაც ბევრი ჯვითნი დარჩნენ: წელს, რიგისამებრ ნათ შორის დადგენილისა, ბ-ნ პ—ეს ერგო წილად ჩვენის ახალგაზდობისათვის ეძლვნა ვრცელი წერილი „ივერიის“ № 142-ში, მაგრამ ახალს ბ-ნი პ. არაფერს ამბობს. თავიდამ ბოლომდე ავტორი მოგვითხრობს, რომ ეხლანდელ ახალგაზდობას იდეალები არა აქვს, წერილმანებით იკვებება, ჩვენი დრო სულ სხვა იყოო, და ასე და ამ ნაირად მიდის და მიდის ჩვენი პ. უკანასკნელ წერტილამდე. კიდევ კარგი, რომ გაზეთის სივრცემ ნება არ მისცა, თორემ ბოლო არ ექნებოდა იმისს იერემიადას.

ვიმეორებ, არ არის ჩვენს მწერლობაში პუბლიცისტი, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩაეგდოს ჩვენს ახალგაზდობას, მაგრამ არც ერთი მათგანი არა სცდილობს ღირსეულად შეეხოს ამ საგანს, ღრმად დააკვირდეს და აგვიხსნას, როგორც ერთი დიდად საინტერესო მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა.

მე საგნად არა მაქვს შევეხო აქ პ—ს წერილს. ბ-ნი პ. და იმისი წერილი ერთი მრავალთაგანია. მე მხოლოდ მინდა, შეძლებისამებრ, დავუხატო მკითხველს სურათი იმისა, თუ რა ვიყავით მესამოცე წლებში და რა ვართ ეხლა. ამითი მკითხველი გაეცნობა მაშინდელსა და ეხლანდელს ახალგაზდობის იდეალებს, მიმართულებას, ცოდნას და სხვას.

საზოგადოდ, ყოველ მოვლენას წინ მიუძღვის სხვა მოვლენაც, ვითარცა მიზეზი და საფუძველი. თუ მესამოცე წლების ახალგაზდობას სიცოცხლე ეტყობოდა, იდეალებით გატაცებული იყო, ამას უნდა ჰქონდეს თავისი აუცილებელი და ღრმა მიზეზები.

ეხლა ვკითხოთ, რა დრო იყო ის ნეტარი დრო და რა ახალგაზდობა იყო მაშინ, რომლის ქებითა და დიდებით თითონ ამ ახალგაზდობამ გამოგვიჭედა ყურები?

ეს იყო ის დალოცვილი მესამოცე წლები, როდესაც მთელი განათლებული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა სულითა და გულით შეუდგა წმიდა მოვალეობას წმინდა საგანს: შეძლებისა გვარად შესწეოდა თავის უმცროსს მოძმეს, ეცნო გლეხიც ადამიანად, მიეცა მისთვის ადამიანის უფლება და მით გამოეყვანა დაჩაგრულ მდგომარეობიდგან, რომელშიაც იტანჯებოდა ის მთელი საუკუნოები. ეს ღელვა, ეს აღტაცება საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა არა ყოფილა, რასაკვირველია, უხილავი, ზეგარდმო შთაგონებული ძალა, ჩამოსული მესამოცე წლების ახალგაზდობის თავზე. ის იყო შედეგი ევროპის განათლებისა.

ასე გასინჯეთ, მწერლობამ თითქმის სხვა ყველა ინტერესებს მიანება თავი და ყოველ გვარ თავის ნაწარმოებში, დრამა იქნებოდა თუ რომანი, ლექსი, თუ სხვა რამ დარგი მწერლობისა, ნიადაგ ამ ზემოხსენებულს საგანს უთმობდა ადგილს: ერთის სიტყვით, გატაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველა ერთსა და იმავე სიმზე ეღერსებოდა მაშინ მკითხველს: სცდილობდა მხოლოდ კაცობრიული გრძნობები გაეღვიძებინა იმის გულში, მიეცა ცხოვრებისათვის სხვა ძალა, რომელსაც ცოტა ხნით მაინც უნდა დაევიწყებინა მებატონესათვის მონებაზე დამყარებული ცხოვრება, აეხსნა მისთვის ადამიანის დანიშნულება.

ამ დროს იკიდებდა ფეხს რუსეთში მსოფლიო ფილოსოფოსებისა და პუბლიცისტების სწავლა ადამიანის დანიშნულებაზე და მისს უფლებებზე.

რუსეთის მეთაური საზოგადოება ამ საქმეს ამ საუკუნის დასაწყისიდამ ემსახურებოდა და მესამოცე წლებში მათმა შრომამ კიდეც მოიტანა ნაყოფი. ერთის აზრითა და გრძნობით გატაცებულმა საზოგადოებამ რაოდენობით იმატა. აქ არა ჰქონდა საზღვარი გატაცებას, ყველა ერთ მხარეს მიიზიდებოდა: ნიჭიერი და უნიჭო; ყველას გასავალი ჰქონდა.

ეს დრო იყო რუსეთში, ეს დრო იყო ჩვენშიაც, ჩვენში, სადაც განათლებული ახალგაზდობა მხოლოდ მაშინ იჩენდა თავს. მხოლოდ ხუთ-ექვს ყმაწვილს და ისიც თავად-აზნაურთაგანს (მაშინ მათი მამული ხელშეუხლებელი გახლდათ) ერგოთ წილად შესდგომოდნენ ამ წმიდა მოვალეობას: მათთვის ეს ადვილიც იყო, რადგან ზემოხსენებულ იდეალებზე იყვნენ აღზრდილნი და სადაც არ უნდა გაეხედნათ, სხვა არა ესმოდათ რა. ამ ღელვას ვერც ერთი ახალგაზდა გვერდს ვერ აუხვევდა. ასეც მოხდა, ამ მიმართულებას იგინი ვერ ასცილდნენ.

რომ ჩავიხედოთ ჩვენს მაშინდელს ნორჩს ლიტერატურაში, რას ვნახავთ? „კაცია ადამიანი“, „კაკო“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა. თითოეული მწერალი სცდილობდა ადამიანის გულში სიბრალული აღეძრა იმის „უმცროსის მოძმესადმი“. ჩვენი ცხოვრებაც მაშინ არ წარმოადგენდა რამე იმისთანა რთულს საგანს, რომ დიდი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება სჭირებოდა მოღვაწეს. მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეისაც ვხედავთ, რომ მესამოცე წლების ახალგაზდებს, უნიჭოთა და ნიჭიერთაც, „ნიჭიერთა დასი“ დაერქვა. თითონაც ეგრე ალიარებენ. ჩვენ ვიყავითო და შემდეგ არავის ვხედავთო, გაიძახიან. თქვენ იყავით ბატონებო, და სამსახურიც გაუწიეთ სამშობლოს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს დრო გახლდათ ის დრო, როდესაც ერთმა მე-60 წლების ქართველ ლიბერალთა ევტერპანმა, ახალ ჩამოსულმა სტუდენტმა, კინალამ თავი წააგო იმ ჭეშმარიტებას, რომ აზნაური და თავადი კანონის წინაშე ერთი არისო, კანონი იმათ არ არჩევსო. დიდი ალიაქოთი ასტეხა აგრეთვე იმისთანა საგანმა, როგორიც გლეხის სისხლია. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ გლეხს შავი სისხლი აქვსო, და მეორე, „განათლებულთა დასი“-კი წითლად ალიარებდა.

მე არავის ვამტყუნებ აქ, მხოლოდ მინდა ამით ავლადგინო სურათი მესამოცე წლების დროისა და მაშინდელის ახალგაზდობის მოქმედებისა. ამას ითხოვდა დრო და ახალგაზდობაც თავის ვალს იხდიდა.

ერთის სიტყვით, მესამოცე წლების დრომ დიდი ცვლილება მოახდინა საზოგადო ცხოვრებაში და სულ სხვა მიმართულება მისცა ცხოვრებას.

ამ დრომ მაშინდელ კეთილის მოსურნეთ ბევრი საგანი მიაწოდა გასარჩევად.

ამას მოჰყვა მოქალაქობრივის გრძნობის გაღვიძება. ყველა სცდილობდა საზოგადო სარბიელზე გამოსულიყო, რომ თავის წვლილიც შეეტანა საეროო სალაროში. ეს სურვილი მას მოთხოვნილებად ექცეოდა. მან მოითხოვა ერობის დაწესება, თვით-მმართველობისა ქალაქებისათვის, ნაფიცის მსაჯულებისა და სხვა იმისთანა დაწესებულებათა, რომელნიც მოასწავებენ საზოგადოების წარმატებას, პროგრესს. ამ დროს მწერლობამაც გამოაცხადა თავისი უფლება. მწერლობამ მედგრად და ბეჯითად მიიღო მონაწილეობა საზოგადო საგნების განხილვაში და სცდილობდა გაეცნო საზოგადოება ახალ ცხოვრებასთან.

როგორც ვხედავთ, ყველა, მრუდე და მართალი, ერთის სურვილი ერთის აზრით იყო გატაცებული.

ამ ნაირი მდგომარეობა მაშინდელის საზოგადო ცხოვრებისა იყო დროებითი, წარმავალი. რაკი განხორციელდებოდა აღნიშნული რეფორმები, ეს მდგომარეობაც, რასაკვირველია, უნდა შეცვლილიყო. მაშინ დროებით თითქოს შეჩერდა საზოგადოების გულის ფეთქა და ყველა იმას მოელოდა ენახა, თუ როგორს საძირკველზედ აშენდებოდა მომავალი ცხოვრება.

უწინდელი სადა და უბრალო ცხოვრება იცვალა და გამრავალფეროვანდა. სხვა მოთხოვნილებამ, სხვა სურვილმა გაიდგა ფეხი. აქ თეორიამ პირველი ადგილი დაუთმო პრაქტიკას. ეხლა საზოგადოების კეთილის მოსურნეთათვის უფრო ძნელი იყო მუშაობა, სიტყვა შეიცვალა საქმედ, საქმე თხოულობდა ენერგიას, ნიჭს, მოხერხებას. ეს თვისებები იშვიათად არის მოთავსებული ადამიანში და ამისათვის მესამოცე წლების მქადაგებელთაგან უკან უნდა ჩამორჩენილიყვნენ ორი-სამის მეტი. ჩამორჩნენ და დარჩნენ ბევრნი მესამოცე წლებში, როგორც უსარგებლო, თავ-მომაბეზრებელი რეზონერი.

ეხლაც გაიძახიან ეს ვაჟბატონები და დრო გამოშვებით გვაუწყებენ, რომ ორი და ორი ოთხიაო, დორბლს ჰყრიან, სჭექავენ, კიჟინობენ და უკვირსთ, რომ ყურადღებას არავინ აქცევს მათ, არ სცემენ ხმას. ვერ გაუგიათ, რომ წავიდა ძველი დრო, ეხლა სულ სხვა ნიავმა მოგვიქროლა, სხვა მოვალეობა და სხვა მოთხოვნილება მოგვახვია ახალმა დრომ თავზე. აი ამისთანა მდგომარეობა არის სწორედ სამწუხარო: რაღაცას ჰგრძნობდე და ვერაფერს ვერა ჰხედავდე. ამისთანა მდგომარეობაში კაცი რას არ მიედებ-მოედება!

ჩვენთვის საჭიროა ეხლა მუშა და არა მოლაპარაკე. მესამოცე წლების ახალგაზდობას ვალად ედვა უკან არ ჩამორჩენილიყო, მისი მოვალეობა იყო ჩასდგომოდა კვალ-და-კვალ ახალ საზოგადოებრივის ცხოვრების მიმდინარეობას და შეეგნო ახალი მოთხოვნილებანი, და ამის მაგიერ ჩვენ რას ვხედავთ!? მესამოცე წლების ახალგაზდათაგანმა, ერთის ან ორის მეტმა, ვინ, რომელმა შეიგნო საზოგადო მოღვაწის დანიშნულება!

ეხლა გავბედავ და ვკითხავ ვითომ წარმომადგენელთ ნაქებ ახალგაზდობისას: რა გააკეთეს, რით გაითქვეს სახელი, იმათ დაჰბადეს მესამოცე წლები, თუ მესამოცე წლებმა გამოიყვანა იგინი საზოგადო სარბიელზე?

საკვირველი საქმე ის არის, რომ ყოველი მათგანი მიგვითითებს მესამოცე წლებზე, იქ ეძებს შველას, და შემდეგ თითონაცა ჰგრძნობს, რომ არაფერი გაუკეთებია. ნუ თუ მესამოცე წლებს გაჰყვა იმათი ენერგია, საგანგებო ნიჭი და ძლიერი გრძნობა, რომ ეხლა არ იჩენენ მაშინდებურად თავს? ნუ თუ „დაშთათ მხოლოდ მისს ლამპრიდგან ცეცხლი გამქრალი“.

დამეთანხმეთ, რომ ძლიერ საბრალო სანახავია ლონე-მიხრწნილი გმირი!

სვიმონიკა

## უცხოეთი

საფრანგეთი. თუმცა ბულანჟეს საქმე ეხლა იმ ხანაზეა მიმდგარი, თითქოს ყველაფერი გათავდა, ბულანჟეობას ბოლო მოეღო და ანდერძი აევგო, მაინც საფრანგეთში იმის მეტი სალაპარაკო აღარა აქვთ რა. ეს მოლაპარაკენი ისევ პოლიტიკოსები არიან, თორემ ხალხს მაგდენად არაფრად მიუჩნევია ბულანჟეს განსამართლება და სასჯელის გადაწყვეტა. ამ გადაწყვეტილებას პარიჟის ყავახანებში მომხრეებიცა ჰყოლია და მოწინააღმდეგენიც. ეგ არაფერიაო, ამბობდნენ თურმე ბულანჟელები: დიდი ხანია ვიცოდით, რომ აგრე იქნებოდა და იმედი გვაქვს ერთი-ორად გადავიხადოთ მაგიერიო.—ნუ, ნუო, უპასუხნია ერთ ოპორტუნისტ დეპუტატს: ნულარას იტყვით, თქვენი წირვა გამოსულია და ეს დღევანდელი ქარის ქროლა ცეზარის სიკვდილის მოწინასწარმეტყველიაო. მაგრამ მართლა ანდერძი აეგო-კი ცეზარს?.. ბულანჟელები თავს იკლავენ და არა სთანხმდებიან.

ამასობაში ოპორტუნისტები ცას არიან დაწეულნი, უხარიათ, რომ ბულანჟეს მძიმე სასჯელი გადაეწყვიტა, აღტაცებით გაიძახიან, რომ სენატი რესპუბლიკის განთავისუფლების ღუზააო. ბულანჟე ამიერიდგან ბრალდებულია, დამნაშავე, სამართალში ნამყოფი და დასჯილი კაცი და ხალხი-კი არჩევნებზე ამისთანა კაცს არ მიემხრობაო. მით უფრო არ მიემხრობა, რომ უმაღლესის სასამართლოს წინაშე მოსვლა ვერ გაბედა, თავის გასამართლებელი ვერა სთქვაო.

აი ამ სიტყვაზედ, სხვათა შორის, ნაკეს, ბულანჟეს დასის მომხრე სენატორს, რა უთქვამს: «უეჭველად, რაც უფრო სასტიკი სასჯელი აქვს ბულანჟეს გადაწყვეტილი, მით უფრო ალაშფოთებს ხალხს, იმ ხალხს, რომელიც ჯერ ეხლავე ღრტვინავს გენერალ პროკურორის საბრალმდებლო სიტყვის მოსმენის გამო. პარიჟში ჩვენ ისევე მაგრადა ვართ, როგორც 27 იანვარს ვიყავით, და პროვინციაში-კი, ეჭვი არ არის, უმეტესობა კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრეა. ბულანჟეს აქ მოსვლა და თავის გამართლება, რაღა თქმა უნდა, ჩვენს საქმეს წინ წასწევდა, მაგრამ არც ეხლა ვართ სასოწარკვეთილნი. ბულანჟეს აქ მოსვლა და თავის გამართლება არჩევანის საქმეს გააძნელებდა, გაამწვავებდა და ასწევდა. ეხლა-კი საქმე კარგად მოეწყო, არჩევნებზე ჩვენი მხარე იმათ ეპირებათ, რომელნიც განაჩენის უკმაყოფილონი არიან, და წინააღმდეგნი ისინი იქნებიან, რომელნიც უმაღლესის სასამართლოს გადაწყვეტილებას თანაუგრძნობენ.

ამ ლაპარაკში არიან, მაგრამ ბულანჟეს განაჩენი უაპელაციოა, თუ გენერალმა საფრანგეთში დაბრუნება არ ამჯობინა საზღვარ-გარეთ ყოფნას; თუ დაბრუნდა, მთელი საქმე კვლავ გადაისინჯება თავიდგან. გაჰბედავს თუ არა დაბრუნებას ბულანჟე? განაჩენის დადგენამდე ურჩევდნენ თურმე ლაგერი და არტური, რომ დაბრუნდი და თამამად წარსდექი სასამართლოს წინაშე, მაგრამ ბულანჟემ იმათი ნათქვამი არ შეისმინა, და ეხლა ვინ იცის, ბულანჟე იმათს დარიგებას მიჰყვება, თუ არა...

აქვე მოვიყვანთ რამდენსამე აზრს საფრანგეთის გაზეთებისას, ბულანჟეს განაჩენის თაობაზედ გამოთქმულს.

République Français: „რესპუბლიკამ გაიღვიძა და ბ-ნს ბულანჟეს კატორგაში ამოაყოფინეს თავი. გუშინ უმაღლესმა სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო ორის დღის საქმის გარჩევისა და გამოკვლევის შემდეგ“.

Journal des Débats-ი: „ეჭვიც არავის უნდა ჰქონდეს, რომ მსჯავრდადებული მართლა დამნაშავეა და ბრალდებული. სასჯელი სამართლიანია და საზოგადოებრივი სინიდისიც დაამტკიცებს თავის მხრით“.

Justice: „ამ განაჩენით ბოლო მოეღება ბულანჟეს, და იგივე განაჩენი აკურთხებს რესპუბლიკას, ბულანჟეს მოგვაშორებს თავიდგან“.

Lanterne: „პურპისა და ბიურეს გულითადი მეგობარი, სათადარიგო თანხათა ქურდი, ისეთი კაცი, რომელმაც ერის დასაცავი ფული თავისს საქმეებზედ მოიხარჯინა, ვერც ერთს დასს მეთაურობას ვერ გაუწევს. ასეთი კაცი ერთი იმ პოლიტიკის არარათაგანი, რომელსაც ხელით-კი არ იღებენ ნაგვიდგან, ნემსკავით ასწევენ და ისე აგდებენ ხოლმე ხახალში“

Paix-ი: „სამარცხვინო განაჩენი რომელიც ბულანჟეს შესახებ წარმოიქვა, ბულანჟეობას სულ ერთიან ძირს დასცემს და მიწასთან გაასწორებს“.

Evénement-ი: „უმაღლესმა სასამართლომ რესპუბლიკის ავტორიტეტს აღდგენას მიჰყო ხელი. მთავრობას იმის მეტი აღარა დარჩენია რა, რასაკვირველია, რომ ამ საქმეს ხელი შეუწყოს, მოუმართოს და თითონაც ამისივე მონადინე იყოს“.

რეაქციისა და ბულანჟელების გაზეთები, რაღა თქმა უნდა, იმ აზრისანი არიან, რომ განაჩენი უსამართლობის შეთითხნილიაო.

## წვრილი ამბები

### ედისონი

როგორც ამას წინადაც გვქონდა ნათქვამი, ედისონი ამ ჟამად თავისი ცოლით და ორიოდ-სამიოდე მხლებლით ევროპაში დამოგზაურობს. კიდევ რამდენსამე ცნობას მოვიყვანთ ამ გამოჩენილის კაცის ბიოგრაფიიდგან, რომელიც ამას წინად Journal des Débats-ში იყო დაბეჭდილი. ტომას-ალვა ედისონი დაიბადა მილანში, ერიეს საგრაფოში, ოგაიოს შტატს, 1847 წლის 30 იანვარს, შვილია მოლევნე ჰოლანდიელ ხელოსნისა, რომელიც თურმეც იყო თურმე, აბრეშუმის მომყვანიც, პურის ვაჭარიც და სხვ. 1860 წლამდე ედისონი მამასთანა სცხოვრობდა პორტ-გურონს, მიჩიგანის შტატში. თორმეტის წლისა იგი წუმწუმასა და გაზეთებსა ჰყიდდა ტრიონის რკინის გზაზედ მოსიარულე მოგზაურთ. კანადიდგან მიჩიგანამდე სიარულის დროს მოუვიდა ფიქრად, რომ მოდი პაწია გაზეთს შევსთხზავ და გამოვცემ იმ ამბებს, რომლის შეკრებაც რკინის გზის სადგურებზე შესაძლებელიო. ამ ბავშვის გაზ. „Grand Trunk Herald“-მა აცნობა თურმე ყველაზედ პირველად საზოგადოებას პიტსბურგის ბრძოლის ამბავი. შემდეგ ყმაწვილი გაიზარდა და დიდის მუყაითობით დაიწყო მეხანიკისა, ფიზიკისა და ქიმიის შესწავლა. ევროპაში ედისონის სახელი 1877 წლიდგან გაითქვა, მაშინ, როცა ტელეფონი გამოიგონა. ბელლის მაგნეტიური ტელეფონი მცირე მანძილზედ ჰმოქმედობს, ედისონისა-კი დიდს მანძილზედაც გამოსაყენებელია. ამ ტელეფონის ხმარების უფლება ედისონმა „Wertern Union“-ის ამხანაგობას მიჰყიდა 200,000 მან. ფონოგრაფმა ხომ სულ ერთიანად გაუკეთა საქმე ამ კაცს. ედისონმა იმავე დროს გამოიგონა ელექტრონის კალამი, მიკრო-ტაზიმეტრი, ტერმომეტრი, გიგრომეტრი, ელექტრო-მოტოგრაფი, ფონომეტრი, პაწია მანქანა, რომელშიაც მღერის შემწეობით საკერავი მაშინა ჰმუშაობს, მეგაფონი და სხ. 1878 წელს ედისონმა მოიგონა ელექტრონის ლამპარი და გაიყვანა თეატრებსა და კერძო სახლებში ელექტრონული სინათლე. იმანვე შესძლო და წყლის ქვეშ გაატარა ტელეფონი გემებ შორის და სხ. და სხ. ყველას რა ადამიანის გონება დაიხსომებს. ჩვენ დაგვავიწყდა კიდევ მოგვეხსენებინა ამისი ელექტრონის რკინის გზები, ჰაეროსტატები, ახალი ფონოგრაფი და სხვანი მრავალნი. ეხლა ედისონი ტელეფოტის გაკეთებას უზის თურმე, იმ იარაღისას, რომლის შემწეობითაც დიდს მანძილზედ რისამე დანახვა და დათვალიერება შესაძლებელი იქნება. იმედია, ამ საქმესაც ჩვეულებრივ დაასაგვირგვინებს ედისონი, რადგან ყოველივე სასწაური აქვს და ყველაფერით მოწყობილი და მომართულია. იმის სახელოსნოებში ყველაფერი მეცნიერების თანახმად კეთდება. იმისი შესანიშნავი ობსერვატორია მენლო-პარკში სწორედ ფაბრიკაა, სადაც ედისონით ზეგარდმო შთაგონებული მათემატიკოსები, ფიზიკოსები და ქიმიკოსები ჰმუშაობენ. თვით ედისონი ტვინია და იმისნი თანაშემწენი-კი ხელები, რომელნიც იმის ბრძანებისამებრ აკეთებენ ყველაფერს. აი ამოდენა ხალხი საქმეს დასტრიალებს თავს და ყველაფერსა სცდიან, აკეთებენ, თვალყურს ადევნებენ, ეს ასე რატომ არ არის, რა აკლია, რა წამალი დაედება. ედისონი ფულს არ იშურებს, ოქროს მუჭებით აზნევს, რადგან იმედი აქვს, რომ ჩემ მიერ ახალი რამ გამოგონილი უკანვე დამიბრუნებს ამ ფულს თავნითა და სარგებლით, ერთი ორადაო. დღევანდლამდე ედისონს მარტო თავის წილობაზედ 8.000.000 მან. მეტი ჰქონებია. ამ ჟამად ედისონი თავის ახალგაზდა ცოლითურთ ლეველინში დგას, ნიუ-იორკიდგან 30 ვერსის მანძილზედ, იქ, სადაც მეორე ახალი ლაბორატორია გაიმართა. იმის სახლი გორაზედ სდგას და ტყით გარშემორტყმულია. მთელი ეს რამდენიმე სართულიანი სახლი მაშინებითა და მანქანებით არის სავსე. ყველაფერი იქ ისე კეთდება, რომ ადამიანის ხელი არა სჩანს, თითქოს თილისმა და ჯადო მოქმედებსო: კარები ელექტრონით იღება, სუფრაზედ საჭმელები ელექტრონის პაწია რკინის მატარებელს მოაქვს და სხ. ერთის სიტყვით, ყველგან ტელეფონებია, ზარები, ელექტრონის სურათები და სხ. მთელს ამერიკას სინათლეს ედისონი აძლევს, იგი ანათებს ქუჩებსა და სახლებს და ამ საქმისთვის 20.000,000 მან. აქვს აღებული. ფონოგრაფით ვაჭრობის უფლება ამ საოცარმა კაცმა ჯიპინზონს მიჰყიდა 1.500,000 მანეთად. არც წვრილმანს მოგებას უკადრისობს ედისონი და უკვე გამოიგონია talking dall-ი, ტიკინები, რომელნიც მთელს საათს ჰლაპარაკობენ და რომელთაც პალატებში და სხვა ალაგას უნდა იმჭევრმეტყველონ. ედისონი არაფერს სტოვებს უყურადღებოდ, კარგად იცის, რომ დრო ფულიაო, და ამ ამერიკელთა მამა-პაპით ნანდერძევს ანდაზას იოტის ოდენადაც არა ჰღალატობს.

ასეთია ეს ამერიკელი ინჟინერი, სხვა-და-სხვა მანქანათა გამომგონი და საქმის მოყვარე კაცი. როგორც ადამიანი, ედისონი სადა და უბრალო კაცია, კეთილის გულისა, ალერსიანი, ყოველთვის მხიარული, ყოველთვის კაი გუნებისა. მაღალი ტანი აქვს, ცის ფერი თვალები, ჭაღარა-შერეული ქერა თმა, და ისე დადის, თითქოს მოძღვარი იყოს, პასტორიო.

## დეპეშა

15 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და მათნი უმაღლესობანი ქსენია და ოლღა ალექსანდრეს ასულნი 14-ს აგვისტოსა წაბრძანდნენ პეტერბურგიდგან კოპენჰაგენს.

უფროსი საგენერალო შტაბის აკადემიისა, გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი, დანიშნა კიევის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად.

დამსახურებული პროფესორი საგენერალო შტაბის აკადემიისა გენერალ-ლე-

იტენანტი ლეერი დაინიშნა ამ აკადემიის უფროსად.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, რომ გაუქმებულიქმნას ოდესის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა და კვლავ ჰმოქმედებდეს რუსის სანავოსნო საზოგადოების წესდებათ.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მარიამობ.

| | მყიდველნი კა. | გამყიდველნისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 65 |
| ტამოჟნის კუპონები | $152^1/_2$ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 264 |
| —მეორისა | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—25)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიური სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წლიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში—ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—6)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . მან. კაპ. „ 10

თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . „ 60

თორნიკე ერისთავი . . . . 1

საყმაწვილო ამბები . . . „ 40

ნინო ორბელიანის ლექსები „ 40

არითმეტიკა, მ. ყიფიანისა „ 80

სურამის ციხე . . . . „ 20

გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . „ 25

ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40

თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . „ 50

მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . „ 25

კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ 40

დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . „ 15

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „

ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . „ 50

სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . „ 10

გულივერის მოგზაურობა . „ 50

საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . „ 15

ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . „ 15

ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანცულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . „ 15

დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . „ 10

საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . „ 45

ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . „ 75

დედა-ენა, მისივე, . . . . „ 30

ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . „ 50

თამარიანი, გუგუნავასი . . „ 50

ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . 3 „

რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . . 3 60

ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . „ 20

გულივერის მოგზაურობა . „ 50

სამ გვარი სიყვარული, აკაკისა „ 30

მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30

ვაზის ობი . . . . . . . „ 10

ლოცვანი, ღამბაშიძისა . . „ 30

ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „

საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40

ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . 1 50

II ნაწ. . . . . . . . 1 50

საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . „ 20

თამარ-ცბიერი, აკაკისა . . „ 50

სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . 3 50

მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . „ 5

დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . „ 5

თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . „ 50

პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . „ 10

გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . „ 50

ნ. ბარათაშვილის ლექსები „ 40

სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . „ 60

ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . „ 30

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩიტახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—21)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—28)

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

დიდი სააბრეშუმო ქარხნები

მოლტიფაოში (კორსიკის კუნძულზედ) და ვიგანს (გარდში)

ცელიულიარის აბრეშუმის თესლი (პასტერის სისტემისამებრ)

BERTRAND ET ALOISI




ყვითელი და თეთრი ჯიში.

ვისაც Bertrand et Aloïsi-ს თესლის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ტფილისის აბრეშუმის სტანციას 1889 წლის ოქტომბრის თვიდგან დაწყებული. (10—7)

Доз. ценз. Тифлисъ 16-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე